№ 41

სა მშაბათი, 22 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 41

სამშაბათი, 22 თებერვალი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრაფო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 23 თებერვალს
ბენეფისი
**ვლ. ალექსეევ-მესხიევისა**
ქართული დრამატიული დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნი ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, ბ-ნი ყიფიანისა და ტყვიაველის მონაწილეობით.

**I**

პირველად ახალი პიესა
**დამნაშავეა**
დრ. 3 მოქ. რიხარდ ფოსისა თარგ. ნიკიტინისა

**II**

**დატრიალდა ჟარა**
ვოდ. 1 მოქ. გადმ. კ. ყიფიანისაგან

**III**

**დივერტისმენტი**
დივერტისმენტში მონაწილეობას მიიღებენ: ბ-ნი ყიფიანი, ტყვიაველი, აწყურელი, გედევანოვი და შათირიშვილი
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

## ტფილისი, 22 თებერვალს

ამ დღეებში ფრიად სამწუხარო დეპეშა მოგვივიდა ლონდონიდან. ღრმად მოხუცებული, ინგლისის მთავარ-მინისტრი, ლიბერალთა დასის მზე და მთვარე, სერ გლადსტონი, თვალის ტკივილის გამო, იძულებული შეიქმნა სამსახურს თავი დაანებოს და ამ გვარად მის მიერ დაწყებული და განსვეტაკებული უდიდესი საქმე ირლანდიის განთავისუფლებისა სხვის ამარად დასტოვა.

მართალია, ინგლისი საკვირველი ქვეყანაა, იქ მრავლად არიან დიდ სულოვანნი და დიდ ბუნებოვანნი მოღვაწენი; მართალია, თვით გლადსტონს მრავლად ჰყავს ნიჭიერი და მხნე ამხანაგ-მეგობარნი, რომელნიც ლიბერალთა დასს უგლადსტონობას საიმისოდ არ შეატყობინებენ, მაგრამ გლადსტონის წასვლა საპოლიტიკო სარბიელიდან სწორედ იმ დროს, როდესაც ირლანდიელების საქმე თითქმის საკეთილოდ უნდა დასრულებულიყო, დიდად საგრძნობელია და გულს სევდა შემომყრელი.

გლადსტონის მიერ შემუშავებულ ნიუკესტლის პროგრამას, რომ სამრევლოების მართვა-გამგეობა რიგიანად და გონივრულად მოეწყოს, გაფართოვდეს სამრევლო საბჭოების კომპეტენცია, დაცულ იქმნას უფლებანი მუშათა, უკეთესად გაიმართოს ეკკლესიის საქმე ვალისსა და შოტლანდიაში; ვიმეორებთ ყველა ამ სალიბერალო რეფორმებს ადვილად გაუძღვებიან გლადსტონის მეგობარნი და თანა მოაზრენი, ლორდი როზბერი *), ჯონ მორლეი, ჰარკური და თვით ახალგაზდა შინაურ საქმეთა მინისტრი ასკვიტი. ყოველი ამათგანი, რომელსაც კი ბედი არგუნებს ინგლისის მთავარ-მინისტრობას, პირნათლად გაუძღვება საქმეს და ზემო ჩამოთვლილ რეფორმებსაც უეჭველად სისხლსა და ხორცს შეასხამს.

სულ სხვა საქმეა საქმე ირლანდიისა. ხმლით და იარაღით დამორჩილებულ ტომისათვის მინიჭება ავტონომიისა კისრად იდვა მხოლოდ ამ ერთად-ერთმა მოღვაწემ. ამ დიდებულ პრინციპის მოციქული მხოლოდ გლადსტონია; მარტო ეს დაუღალავი მუშაკი სცდილობდა განეხორციელებინა მცნება ქრისტესი და დაენახვებინა ევროპისათვის, რომ დამორჩილებულ ერისთვის თვით-მართველობის მინიჭება სახელმწიფოს დაუძლურება და დასუსტება-კი არ არის, არამედ განდიდება და გაძლიერებაო.

აი სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ევროპა გაფაციცებით ადევნებდა თვალ ყურს გლადსტონის მოღვაწეობას ირლანდიის შესახებ. ასე თუ ისე ამ საქმის დაბოლოვება მაგალითი უნდა შექმნილიყო, გზის მაჩვენებელი და სამოძღვრებო საქმე უნდა ყოფილიყო იმისი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ შემდეგ სხვა დანარჩენი სახელმწიფონი თავიანთ მკვიდრთა საკეთილოდ. ვინ იცის, იქნება გლადსტონს რომ ამ გორდიუსის კვანძის გამოხსნა მოეხერხებინა შესაძლებელია ევროპაში სულ ახალი ხანა დამდგარიყო, ახალს სიოს დაებერა და ეროვნული პრინციპი, რომელიც ასე ჰქენჯნის და აფერხებს ავსტრი-უნგრეთის, ოსმალეთისა და ორიოდე სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეს, სულ სხვაფრივ და სხვა რიგად გადაწყვეტილიყო.

გლადსტონის მიერ გაცისკროვნებული პრინციპი, რომ ყოველი ერი თავის თავის და ბედის გამგებელი უნდა თვითონ იყოსო; ის პრინციპი, რომ ისე ერთგულად და მამაშვილურად სხვა ვერავინ მოუვლის თავის თავს, როგორც თვითონაო, დღეს, მის სამსახურის დათხოვნის გამო, ცოტად თუ ბევრად შეფერხდება. მერე ისიც რა დროს? იმ დროს, როდესაც მთელს ინგლისში ლიბერალთა და რადიკალთა მიტინგები იმართება და თავიანთ გულის-წყრომას უცხადებენ ზედა-პალატას, რომელმაც არ შეიწყნარა ირლანდიის ჰომრული; გულის-წყრომას უცხადებენ და თან ემუქრებიან, სრულიად მოვსპობთ მაგ დროსა და ვითარების შეუფერებელს დაწესებულებასაო.

ინგლისის ისტორია ჰმოწმობს, რომ როცა-კი წყრომისა და მუქარის მიტინგები გახშირებულა ამ ქვეყანაში, სადავო საქმე სწორედ ისე გადაწყვეტილა, როგორც უმრავლესობასა ნდომებია. დღეს ასეთი ჟამი დადგა და აი სწორედ ახლა შეუშალა ხელი მოხუცებამ გლადსტონს და იძულებულ ჰყო ეს სათაყვანებლი და საკვირველი მხცოვანი ჩამოსცლოდა საქმეს...

ისკანდერ

*) ეს მეთაური უკვე დაწერილი იყო, როცა დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ გლადსტონის გადადგომა სამსახურიდამ შეიწყნარა დედოფალმა და მთავარ-მინისტრად დანიშნა ლორდ როზბერიო

## ახალი ამბავი

*** კვირას, 20 თებერვალს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა კ. მესხის ოთხ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა რუსთაველი და მეჯლისი იტალიელებით, ერთ-მოქმედებიანი ოპერეტი. როგორც პირველმა, ისე, განსაკუთრებით, მეორე პიესამ სუსტად ჩაიარა. ოპერეტში ძალიან სუსტობდნენ ვიღაც ქართლელი, რომელიც ლატუშევიჩის როლს ასრულებდა, და შათირიშვილი—კანიფასი. არც საფაროვის ასულს მოსდევდა და ხმა ბ-ნი გედევანოვი-კი უფრო ხტიდა და ცუნცრუკებდა, ვიდრე ასრულებდა გრიფილის როლს. ამას გარდა, ოპერეტკას უფრო იმან დაუკარგა ფერი, რომ მუსიკა არა ჰყავდათ და როიალზედ მღეროდნენ არტისტები ოპერეტას. წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

*** დიდ ძალს საზოგადოებას იზიდავს სათავად აზნაურო ბანკის თეატრში სპარსეთის შაჰის სასახლის არტისტის—თვალთ მაქცის რობერტ ლენცის წარმოდგენები. რობერტ ლენცი ეს მესამედ თუ მეოთხედ ჩამოდის ტფილისში ორ-სამ წელიწად გამოშვებით და ყოველთვის ეტანება საზოგადოება იმის წარმოდგენებს. დღეს, საშაბათს, 23 თებერვალს, კვლავ ჰმართავს რობერტ ლენცი თავისს წარმოდგენას პროფესორ გალსკეს მონაწილეობით. სათვალთმაქც-წარმოდგენას გარდა, პრაფესორი ლენცი გაჰმართავს კონცერტს ელექტრონის ზარების საშუალებით.

## ფელეტონი

**„ორი სურათი“**

(ვუძღვნი ექიმ ტარსაიძეს)

**I**

გაზაფხულის საღამო იყო. ლაჟვარდოვანს ცას შავი ღრუბელი გადაჰკროდა, თხელი, მაგრამ მძაფრი წვიმა მოდიოდა და კაცს ძვალ-რბილში უვლიდა. ზედაც ჩრდილოეთის ქარმაც დაჰბერა, თითქო ბუნებას სიმკაცრე აკლიაო და ეს ნაკლი მე უნდა შევავსოვო. ერთის სიტყვით, ბუნება ქვეყნის ჰირისუფლად გამხდარიყო და ხალხის ცხოვრების უკუღმართობას ათრქვევდა ცხარე ცრემლებს.

ერთს ქუჩაში, რომლის დამამშვენებლად წამოჭიმულიყო ახალს გეგმაზედ აგებული სახლი,—თავ-ჩაქინდრული მოდიოდა მოხუცი გლეხკაცი; ამ მოხუცის სახე რაღაცას ჰმუნვარებას მოეცვა და მის თვალებში დიდი მწუხარება გამოიხატებოდა. ამასთანავე, საბრალო, როგორც სჩანდა, სიცივეს ძალიან შეეწუხებინა, რადგანაც ტანზედ ჩაცმული დაგლეჯილი ფარაჯა ვერაფერს სამსახურს უწევდა და ვერ იფარავდა სიცივისაგან.

რა დაუახლოვდა ზემოხსენებულს შენობას, რომლის მრავალ ფანჯრებიდამ ნათლად გამოდიოდა სანთლის შუქი, იგი გაჩერდა და თავისთვის წარმოსთქვა:

— მგონი, ეს უნდა იყოს...

ამ სიტყვებით გაუბედავად მიუახლოვდა სახლის კარებს და რამდენსამე ხანს ყოყმანობდა.—დაერახუნებინა კარები თუ არა... ბოლოს თავის გაქნევით დაჰკრა მუშტად მოკუმული ხელი კარებს და ერთი საშინლად ამოიხვნეშა, თითქო დიდი ტვირთი მოიხსნა ზურგიდამაო. რახუნმა არავითარი მოძრაობა არ გამოიწვია სახლში. გლეხ-კაცი რამდენსამე ხანს უცდიდა მაგრამ,—რაკი არავინ გამოიხედა, უფრო გაბედულად დაუწყო კარებს მუშტის ცემა.

ახლა-კი შეიბერტყეს სახლში მყოფებმა ყური: კიბეზე ფეხის ხმა მოისმა. მოტრიალდა გასაღები, კარები გაიღო და ტალანში დაკიდულმა ლამპარმა გაანათა მოსამსახურის უკმაყოფილო სახე, რომელმაც უფრო მკაცრი გამომეტყველება მიიღო, რაკი დაკონკილს ფარაჯაში გლეხი დაინახა.

— რა გინდა, შე კაცო?! შესძახა მოსამსახურემ გლეხს უკმაყოფილო კილოთი და განაგრძო ყვედრებით:— კარების რახუნი ქე გაგიგია სადმე? განა სოფელში ხარ? რავა ნაირი ოტროველა ყოფილხარ! ქე ვერ ჰხედავ კარების „ზვონოკს“?—ამ სიტყვებით მან მიუთითა თეთრს ღილზედ, რომელიც იყო კარების მარჯვენა ნაპირას. რა გინდა, არ გესმის? განუმეორა მსახურმა დაღვრემილს გლეხს.

— ექიმი აქა დგას, ძმაო? დაეკითხა თავის მხრით გლეხი.

— აქ·ნაა—უპასუხა მსახურმა. მერე რათ გინდა?

— საქმე მაქვს... შვილი მყავს შეწუხებული... მინდა ვთხოვო, რომ წამობძანდეს სოფელში.—მწუხარებით უთხრა გლეხმა და ამასთანავე ვედრებით შეანათა მსახურს თავისი შეწუხებული თვალები, თითქო იმაზეა დამოკიდებული მისი ბედი და იღბალიო.

— ხა-ხა-ხა!... გაიცინა მსახურმა, რომელიც სრულიად ვერ მიხვდა გლეხის გულის ტკივილს.—აწი-და ამნაირს დარში რავა იკადრებს «დოხტური» წამოსვლას? განა გლეხია იგი? ახლაც ძლივ-ძლივობით წაიყვანეს აქავე ქალაქში „ფაიტონით“ და სოფელში წამოვა?! ან რამდენი უნდა მისცე, რომ წამოგყვეს?

— ერთ ხუთ მანეთ მივართმევ... ოღონდ ი შვილი დამიხსნას სიკვდილისაგან და ყმათ დაუსახლდები....

— ეჰ,—შენ არ მოუკვდე ჩემს თავს, ეგ მან არ ჰქნას!.. სოფელში წასვლისათვის ხუთ-ხუთ თუმნობით ქე აძლევენ. გაუცრუვა იმედი საწყალს გლეხს.—მაგრამ ეგერ, თვითონ მობრძანდება. ეს ჩვენი ცხენების ფეხის ხმაა. მაგისთანა ცხენი არავისა ჰყავს აქანაი...

მართლა, ამ დროს მოისმა ეტლის გრიალი და ერთ წამს შემდეგ ქუჩაში შემოუხვია თვით ეტლმაც, რომელიც განათებული იყო ორის „ფარნით“, ეტლი ხსენებულს კარებთან გაჩერდა და გადმოხტა უზარ-მაზარი ტანის კაცი, რომლის უსიამოვნო სახის მეტყველება უსიამოვნობას აგრძნობინებდა ადამიანს, თუ მეტადრე ოქროს სათვალეებს მოიხსნიდა და ჰრელს თვალებში ჩააცქერდებოდით.

— Это кто такой?!. ჰკითხა მან მსახურს და ხელი გლეხისაკენ მიიშვირა.

— Энтъ, баринъ, болной ქე

⁂ გუშინ ტფილისში დეპეშები მოვიდა კავკასიის გზის სხვა-და-სხვა სადგურიდგან, რომ მლეთიდგან ყაზბეგამდე თოვს. გზა გაასუფთავეს ორის მარხილის გასავლელად, ფოსტა თუმცა დაიარება, მაგრამ გვიანდება. ორ ზვავს შიში აქვს ჩამოწოლისა. გუდაურიდგან ჯვრამდე დიდი ქარია და ყინვა 18 გრადუსამდეაო.

⁂ რადგანაც ამ ბოლოს დროს ტფილისში ქურდობა გავრცელდა, ბ-ნმა ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ უბრძანა პოლიციის ბოქაულებს ღამ-ღამეობით დაათვალიერეთ ხოლმე პოლიციელები სდგანან თავიანთ ალაგზედ, თუ არაო და ამას გარდა თვალყური ადევნეთ, რომ თერთმეტ საათზედ ყოველი სამიკიტნო დაკეტილი იყოსო.

⁂ პოლიციის მერვე განყოფილების ბოქაულის თანაშემწედ დანიშნეს პრაპორშჩიკი მილიციისა ივანე წულუკიძე, რომელიც ქუთაისის გუბერნატორს ახლდა საგანგებო საქმეთა მოხელედ.

⁂ კავკასიის სტუდენტთა სასარგებლოდ გამართულმა წარმოდგენამ ტფილისის სობრანიაში ცოტა საზოგადოება მიიზიდა. ხარჯს გარდა, სტუდენტების სასარგებლოდ დარჩა სულ ცხრა თუმანი, რომელიც ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს გადაეცა გასაგზავნად.

⁂ სამშაბათს 22 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა. განსახილველია მხოლოდ მორიგი საქმენი. არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას.

⁂ 19 თებერვალს ავლაბრისკენ რკინის გზის ლიანდაგის დარაჯმა შეჰნიშნა, რომ ვიღაც ახალგაზდა ყმაწვილები ესვრიან ტელეგრაფის ბოძებს ქვას და ამტვრევენ ჭიქებსაო. პოლიციელის დახმარებით ერთი ახალგაზდა უკვე შეიპყრეს, ხოლო დანარჩენთ დაეძებენ.

⁂ ხარკოვი: აქ უმაღლეს სასწავლებლების ქართველ სტუდენტები განიყოფებიან ასე: უნივერსიტეტში არიან: ა) ისტორია-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გ. გეხტმანი, მ. ჯინორიძე; ბ) იურიდიულზე ს. გელოვანი, ი. ქავთარაძე; გ) ფიზიკისა და მატემატიკისაზე გ. წერეთელი, დ) სამკურნალო ფაკულტეტზე დ. ლორთქიფანიძე, კ. თოფურიძე, ნ. მდივანი, ა. მუხელიშვილი, ნ. ერისთავი, ვ. მახვილაძე, ი. კარგარეთელი, გ. ლოლობერიძე, ს. ჯაფარიძე, პ. ჰიჰინაძე, ვ. მოსეშვილი, პ. კიკალიშვილი, ა. ბასილაია, ა. გეხტმანი, გოკიელოვი.— მათ შორის ორმა გ. გესტმანმა და ს. გელოვანმა მიიღეს ვერცხლის მედალი, პირველმა შემდეგის თხზულებისათვის «Умственное движеніе на руси въ XVI. в.» და მეორემ-კი „О предѣлахъ изслѣдованія нравственной стороны преступленія въ угаловномъ працессѣ.“. სატეხნოლოგიო ინსტიტუტში: არიან ს. ჯანდიერი, ი. მუსხელიშვილი, დაკიშევიჩი და კალატოზოვი.

საზეითალო ინსტიტუტში: გ. ლორთქიფანიძე, ნ. იოსელიანი.

9 თებერვალს აქ იყო გამართული „Кавказкій вечеръ“, რის შესახებ ამ მოკლე ხანში მიიღებთ დაწვრილებით ანგარიშს.

⁂ აი როგორ მომხდარა 18 თებერვალს ის უსიამოვნო ამბავი, გ. სხირტლაძესა და ე. ჩხარტიშვილს შორის, რომელიც გაზეთებში შეცდომით იყო მოხსენებული: ზემოხსენებულ დღეს სტუმრები ჰყოლოდა გ. სხირტლაძის ძმას სოფრონს, ტფილისის კლუბის ეკონომს. სტუმართა შორის ყოფილიყვნენ გ. სხირტლაძე და ე. ჩხარტიშვილი, ვაგზლის ბუფეტის პატრონი და ბევრნი სხვანიცა. სადილზედ, როგორც ამბობენ, ორივეს უსიამოვნო ლაპარაკი მსვლიათ, მაგრამ დაზავებულან და პირველი მოუშორებიათ მეორესთვის. პირველს მაინც გულში რაღაც წყენა ჩარჩენია, ჩუმად მისულა მეორესთან, როცა გარს ქლები ჰხვევიან და ღვინის ბოთლი დაურტყავს თავში. მისცვივნიან სტუმრები, სხვათა-შორის, მილიციის პრაპორშჩიკი ს. ჯ და კ. დ—ძე და სახლში გაუსტუმრებიათ გ. ს—ძე, ბანკის სათეატრო ბუფეტის პატრონი. ე. ჩ—ლს შუბლი აქვს გატეხილი.

⁂ 18 თებერვალს სტეფანე აველიქოვმაშუადღისას აბდულ ქიარიმას მაღაზია გაუტეხა, მაგრამ პოლიციელმა მიუსწრო და შეიპყრო.

⁂ ერევნის მაზრის მცხოვრებელმა ხაჩატურ ბაღდასაროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 18 თებერვალს მტკვრის პირს ორი ავაზაკი დამეცა და 50 მან. წამართვესო.

⁂ 18 თებერვალს პოლიციელმა სკლიაროვმა შეიპყრო გუმბრის მაზრის მცხოვრებელ ოსკან დალაქიანცი. დალაქიანცს უპოვნეს ექვსი სტოლის ვერცხლის კოვზი და ერთი გიმნაზიელის მოსწავლის ხალათი. ესენიო, სთქვა დალაქიანცმა, ანნა ჯორაგოვისას მოვპარე ელისაბედის ქუჩაზედაო.

⁂ ამავე დღეს ჩიხოვის ფაბრიკის დირექტორმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემისავე გაუფრთხილებლობით ბაგრატ ყაზაროვის მანქანამ ხელის თითი მომწყვიტაო.

⁂ 18 თებერვალს ჯაფარ ალი-ოღლიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ ზვინალოვმა 40 მანეთის ტანისამოსი მომპარაო.

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი

—

ყველა იგი არ არის მართებული, რაც ნება დართულია.

გეტე

**

გაქცეულს მტერს ღირს რომ ოქროს ხიდი გაუდო.

სციპიო

**

არის ცრემლი მწუხარებისა და ცრემლი სიხარულისაც, ხოლო სიხარულის ცრემლისაგან დაწითლებული თვალები როგორღაც არ შემხვედრია.

## ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ი

—

ქალი გულს იწვრთნის მარადის,
გძნობებით აზღვავებული,
კაცი გონებას ინათლებს,
ჭკვა-სიბრძნით გატაცებული,
მისთვის მომხიბლავ ტრფიალში
ქალია უფრო ქებული,
და კაცი საჭკვო საქმეში
ბრძენია მოსაზრებული.

## ახალ-სენაკის სამკითხველო და წიგნთ საცავი

(წერილით რედაქციის მიმართ)

ნება გვიბოძეთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ზემოხსენებულ სამკითხველოს და წიგნთ-საცავის გამო «ივერიის» № 35-ში დაბეჭდილ ბ-ნ ფასტის წერილის პასუხად. თუმცა ასეთს ტყუილს, შეცდომით სავსე ლაპარაკს ყურადღება არ უნდა ათხოვოს ადამიანმა, მაგრამ რა-კი შესაძლოა მკითხველები მოსტყუვდნენ ისეთის წერილით, მე ვალად ვრაცხ ჩემს თავს აღვადგინო სიმართლე.

ბ-ნი „ფასტი“ თავის წერილს ჩემს შესახებ იწყებს ასე: „ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენმა სამკითხველომ მიიზიდა ხალხი და მკითხველთა რიცხვი თან-და-თან ემატებოდა, მაშინ დღევანდელმა გამგე ბ-ნმა მიქაძემ მთლად დაუკეტა სამკითხველოს კარი“ ასეთი უმართლობა განა შესაძლებელია?

მე მხოლოდ, როგორც წევრი, „სამკითხველოს“ დამაარსებელი ერთად სხვებთან, ვზრუნავდი, რომ როგორმე დამეარსებინა დ. ახალ-სენაკში წიგნთ-საცავი, რომელიც, როგორც იყო, დავაარსეთ, მაშ რისთვის უნდა დამეკეტა კარი მისთვის? მე განა შემეძლო ან-კი მისი დაკეტა? ნეტავ ვიცოდე, რა ზნეობრივი და იურიდიული უფლება მქონდა, როცა სამკითხველო და წიგნთ-საცავი მოთავსებული იყო ბ-ნ კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და მხოლოდ მასვე ჰქონდა ნება-რთვა მთავრობისაგან, როგორც მისი გამართვისა, აგრეთვე დაკეტისაც. ბ-ნი თავართქილაძევე იყო მოვალე ყურადღება მიეცა სამკითხველოსათვის და ეზრუნა მის კეთილწარსამატებლად. სამკითხველოში გაზეთებს და წიგნებს ვერ ჰპოულობდა მკითხველი და ამის გამო საზოგადოება უკმაყოფილებას აცხადებდა, როგორც სიტყვით, აგრეთვე გაზეთ „ივერიის“ საშუალებით. ყველანი დავრწმუნდით, რომ წიგნთ-საცავს კარგი მეთვალყურე სჭირდებოდა. გვინდოდა როგორმე გაგვეუმჯობესებინა მისი საქმე, მაგრამ საშუალება ნებას არ გვაძლევდა. ამის გამო ორჯერ, როგორც მახსოვს, წარსული წლის ნოემბერსა და დეკემბერს დანიშნული იყო კრება საზოგადოებისა, სადაც გვინდოდა გაგვერჩია წარსული და აწმყო მდგომარეობა სამკითხველოსი. გამოგვეძებნა წყარო მის არსებობისათვის, მაგრამ კრება ვერც ერთხელ ვერ შესდგა. თავართქილაძე ადგა და დაუკეტა კარი სამკითხველოს. ნებაც ხომ მის ხელში იყო. ბ-ნი «ფასტი»-კი ჰგონებს რომ სენაკის საზოგადოება სთხოვდა მიქაძეს ანგარიშს სამკითხველო საქმეებისას, იმან ანგარიში არ მისცა და ბიბლიოთეკა დაიკეტაო. შეცდომაა. სენაკის საზოგადოება, რომელსაც ეკუთვნის «ფასტი,» რა ანგარიშს მომსთხოვდა და ან რა ანგარიში უნდა მიმეცა, როდესაც ჩემთვის არაფერი არ ჩაუბარებია. ვისაც შემწეობა აღმოუჩენია წიგნთ-საცავისათვის, ვინც ითვლებიან მის დამაარსებელ წევრებად, იმათ კარგად იციოდენ ყოველივე გარემოება სამკითხველოსა: შემოწირულება მათი თავ-თავის დროზედ უკვე გამოცხადებული იყო „ივერიაში“, გასავალი-კი წევრებმა, რომლებიც თავიანთ ჯიბიდანაც აღებდენ, კარგად იციან და სხვებს თუ ვისმეს უნდა ყოველ ამის გაგება ადვილია გამოცხადება გამგეობისაგან.

ბ-ნი ფასტი, თუმცაღა მთვლის ეხლანდელ წიგნთ-საცავის გამგეთ, მაგრამ მაინც ამბობს: „ამორჩეული არავისგან ყოფილაო“. ნეტა ვიცოდე, რა ამორჩევა უნდა უნდოდეს ადამიანს იმ საქმეში, რომლისათვის მოვალე არის იზრუნოს? სამკითხველოს დაარსება და მის განკარგებისათვის ზრუნვა ხომ საზოგადო საქმეა. საზოგადო საქმისთვის ზრუნვა შეუძლიან ყველას, ვისაც კი გული შესტკივა მისთვის და ვისაც რამე სიკეთე შეუძლია მოუტანოს. ყოველ შემთხვევაში ფასტის ამორჩევით არავითარი საქმე არ მინდა განვაგო, არც ის მინდა, რომ მის მიერ ამორჩეული ვიქმნე.

რაც შეეხება ფასტის სიტყვებს, ვითომც მე ვკრეფავდი ფულად შემოწირულებს და გაზეთის საშუალებით მადლობა არ გამომიცხადებია, ესეც ხომ ცოცხალი ტყუილია. თუ ვინმე ჩვენთაგანმა შემოწირულება მიიღო წიგნთ-საცავისათვის, ყოველივე ასეთი შემოწირულება ფულით იყო, თუ წიგნებით თავ-თავის დროზედ გამგეობის სახელობით უკვე გამოცხადდა, როგორც შემოწირულება, აგრეთვე მადლობა „ივერიის“ 1891 1892 წლების №№-ში. შემდეგ არავითარი შემწეობა და შემოწირულება არ მიგვიღია და არ ვიცი, რა უნდა გამოგვეცხადებინა. შეიძლება ფასტი თხოულობს გამოვუცხადოთ, რომ ბევრმა ხელი მოაწერა შეწირულობაზე, მაგრამ ფული-კი არ შამოუტანიათ. თუ საჭირო იქნება, გამგეობა გამოა-

---

იესტ хочитъ селеніе возьмитъ— უპასუხა მსახურმა.

Ну его… къ черту!..

დაიძახა გაბრაზებით ექიმმა და შევიდა ტალანში, გაიხადა კალოშები, პალტო და ღიღინით აირბინა კიბეზედ.

— აკი ქე გითხარ, შე კაცო! მართალი არ გამოდგა თუ? მოუგო ნიშნი მსახურმა გლეხს და კარები ზედ ცხვირ წინ მოუკეტა.

— საწყალს გლეხს ხმა ველარ ამოეღო, ვერ ამოესუნთქა, ისე შეარყია ასეთმა მოპყრობამ მისი არსება. თავ-ჩაქინდრული მოშორდა კარებს გადმოდგა ნაბიჯი, ერთხელ კიდევ ამოიოხრა და შტერივით გაჩერდა შუა ქუჩაში.

— რა ვქნა, საით წავიდე, რა წყალში გადავარდე? სასოწარკვეთილებით წამოიძახა მოხუცმა. ვინ დამიბრუნებს ჩემს ალექსის? მოისმა გულგასაგმირი კვნესა, თითქო გულმა ველარ გაუძლო ამდენს წუხილს და შუაზედ გასკდაო. ცხარე ცრემლები წამოუვიდა თვალთაგან.

— რა გატირებს, ძმობილო? შეეკითხა ქუჩაში მომავალი კაცი.

— რაღა რა მატირებს... შვილი მყავს ავად, ექიმთან გამომასწავლეს და იმან-კი პასუხიც არ მაღირსა... რა ვქნა, რა შავს ქვას ვახალო თავი, ვინ მიშველის?!.

— შე დალოცვილიშვილო, ამ არაკაცთან რომ მოხვიდოდი—არ იცოდი, რომ ვერას გახდებოდი? სადა გაქვს, ძმობილო შენ ამის შესაფერი ფული? ეუბნებოდა მგზავრი გულაჩუყებულს გლეხს. ალბად, შენი შვილი ძალიან შეწუხებული უნდა იყოს, რომ ექიმისათვის მიგიმართნია?

— როგორ არ არის, შენი ჭირიმე, შეწუხებული... ბევრი შინაური წამლები ვიხმარეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერე აქეთკენ გამომასწავლეს, იქნება ნასწავლმა ექიმმა უშველოს რამეო...

— ძმობილო, იცი, ერთს რჩევას მოგცემ, თუ უეჭველად ექიმი გინდა, მე მიგასწავლებ. ამ ახლო ხანებში აქ ერთი ახალგაზდა ექიმი გადმოსახლდა. ძალიან მადლიანი ადამიანია, რა დროსაც უნდა მივიდეს კაცი, ღამე თუ დღე, მზად არის დაეხმაროს. წარმოიდგინე, ღარიბებისაგან თურმე ფულსაც არ იღებს. არ იქნება სულ 6—7 თვე, რაც აქ გადმოვიდა და მთელი ქალაქი იმის სახელსა ლოცულობს. თუ წამოგყვება, ისევ ის; კაი ექიმიც არის.

გლეხს, ცოტა არ იყოს, იმედი მოეცა და აჩქარებით ჰკითხა:

— ღვთის გულისთვის მასწავლე, სად დგას ის ღვთის კაცი?

— რიყე ხომ იცი?

— ვიცი.

— იმის გვერდზედ თეთრ-ბალკონიანი სახლია დიდის ეზოთი, იმ სახლებში დგას, ვისაც უნდა ჰკითხო—ირაკლი ექიმი, ყველა მიგასწავლის. წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ჯერ მგზავრს ეს სიტყვები არ დაეთავებინა, რომ გლეხმა მიატოვა იგი; მადლობა არც-კი უთქვამს, ისარივით დაეშვა ქუჩაზე და ერთ წამს ღამის წყვდიადმა შთანთქა კაცი...

— საწყალი!.. გაჭირებული ყოფილა?..—წაიბუტბუტა თავისთვის უცნობმა და ისევ თავის გზას გაუდგა.

II

ამავე საღამოს ერთს სუფთად მორთულ-მოწყობილ ოთახში, პურის საჭმელ მაგიდაზე, ადუღებული სამოვარი ჩუხჩუხებდა. მაგიდას მოსჯდომოდა ყმაწვილი ქალი, სადა კაბით მოსილი და ჭიქებსა სწმენდდა. ქალი იქნებოდა 22-23 წლისა, ძალიან ლამაზის სახისა. იმისი ცისფერი თვალები ხომ მთელი ზღვა იყო გრძნობისა, გონებისა და სიკეთისა. ოქროს ფერი აბრეშუმივით რბილი თმა ანგელოზს ამზგავსებდა.

ბუხრის თავზე მდგომმა საათმა შვიდი დაჰკრა. ქალი შეკრთა საათის ხმაზე და უნებურად წარმოსთქვა:

— რა ვქნა, რად დაიგვიანა? მარო! გასძახა კერებიდამ მეორე ოთახში. კარებში მოახლე გამოჩნდა.

— მიშამ დაიძინა?—ჰკითხა ქალმა გოგოს.

— დიაღ, ქალბატონო, მოისვენა.

— სუნთქვა როგორი აქვს?

— დამშვიდებული, ქალბატონო. რა ვქნა, ბატონმა რად დაიგვიანა? იკითხა მსახურმა.

— მეც იმას არ ვამბობ?.. მაგრამ აგერ, კიბეზე-ხმა ისმის. ირაკლი იქნება.

გაიღო ოთახის კარები და შემოვიდა წარმოსადეგი, მხარ-ბეჭიანა ყმაწვილი კაცი, რომლის მარტო დანახვა გულს გაუნათლებდა კაცს. და ამ ყმაწვილს სახე იმდენად ლამაზი არ ჰქონდა, რამდენადაც მიმზიდველი. მაღალი, დანაოჭებული შუბლი, ხუჭუჭი გრძელი თმა და სიცოცხლის მფრქვეველი თვალები ამშვენებდა ვაჟკაცსა. ვიდრე გეტყოდათ რამეს, მისი თვალები უფრო ადრე გამცნებდნენ მის სურვილსა და აზრს. სჩანდა, რომ ჯანღონით უნდა ყოფილიყო სავსე. დაადგო რა ქუდი პატარა საჩაიე მაგიდაზე, მხიარულად გამოსწია ქალისაკენ.

— გამარჯობა, ჩემო მშვენიერო! მიესურვილა ქალს და შუბლზე აკოცა.

— გაგიმარჯოს, მაგრამ ესე რად დაიგვიანე?

ცხადებს ამასაც და მაშინ მკითხველი საზოგადოებაც დარწმუნდება, რომ ფასტის ამ საქმეში წილი არ უდევს.

ბ-ნი ფასტი მირჩევს დავნიშნო კრება და ამ ორი წლის შემოსავალ-გასავლის დავთრები წარმოვუდგინო. სწორედ ორი წელი გადის, სამკითხველოს არავითარი შემოსავალი არ ჰქონია, როგორც ვიცი და გასავალი კი. გამგეობა მზადაა, რომ როცა უნდათ მაშინ უჩვენოს, ვისაც ეს ესაჭიროება.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბესარიონ მიქაძე

დ. ახალ-სენაკი.

1894 წ. თებერვლის 16.

## რუსეთი

ამ ახლო ხანებში განსაკუთრებული კომისია განიხილავს საერთაწოდებრივო კრებულის დაარსების საქმეს.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება გასცა, ყველა გამოსცადონ ის გერმანელი ხელოსნები, რომელნიც რუსეთის ქარხნებში მუშაობენ და რომელთაც შარშან ერთის წლის ვადა მიეცათ რუსულის ენის შესასწავლად. ეს გამოცდა უკანასკნელი გამოცდა იქმნება; ვინც ვერ გამოიჩენს რუსულის ენის ცოდნას, იმას საზღვარ-გარეთ გაჰგზავნიან და რუსეთში ყოფნის ნებას არ მისცემენ.

—

უწმიდესი უმართებულესი სინოდი უკვე შესდგომია განხილვას სამრევლო სამზრუნველოთა დებულებისას. ეს დებულება დამტკიცებულია 1864 წლის 2 აგვისტოს და ეხლა დიდი შესწორება და შევსება სჭირია. უწმიდესს სინოდს საყოველთაო ბრძანებით მიუწერია საეპარხიო არქიელებისათვის, დაწვრილებით გვაცნობეთ, რომელს ეპარქიაში რამდენი სამრევლო სამზრუნველოა, ვისაგან შესდგება ეს სამზრუნველონი, რა შეძლება აქვს და რას ჰმოქმედობსო და, ამას გარდა, რა შეცვლა და შევსება სჭირია აწინდელს დებულებას სამრევლო სამზრუნველოთა შესახებაო. ამ ცნობების მიღებისთანავე უწმიდესი სინოდი შეუდგება სამრევლო სამზრუნველოთა ახალის პროექტის შედგენას.

—

ამას წინად პეტერბურგში ქ-ნმა მანასეინმა ლექცია წაიკითხა: „გრძნობიერება და მისი დამოკიდებულება მეხსიერებასთან“. ამ ლექციას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, უმეტესად ახალგაზდობა, რომელთა შორის დედათა სქესი სჭარბობდა. ლექტორმა იმითი დაიწყო თავისი ლექცია, რომ გრძნობიერება 5—7 წლის ყმაწვილს ებადება და შემდეგ თანდათან წარმატებაში შედისო. ჯერ აქამდე გამოკვლეული არ არის, თუ რამდენად იჩენს ხოლმე გრძნობიერება პირველშივე თავს და რა გვარად ჰმატულობს. მეხსიერება უნარია სულსა და გულში იმის დაცვისა, რაც ადამიანს გრძნობიერებით შეუძენია. ეს ორივე თვისება—გრძნობიერება და მეხსიერება დაუღალავად ჰმოქმედობს და ძილის დროსაც-კი ადამიანს თავს არ ანებებს. ამის წყალობით ადამიანს შეუძლიან სწორედ იმ დროს გამოიღვიძოს, რომელსაც თითონ დაინიშნავს. მეხსიერება სხვა-და-სხვა ადამიანს სხვა-და-სხვა ნაირი აქვს, ზოგს სუსტი, ზოგს ძლიერი. მეტად სუსტ მეხსიერებასთან ისეთს ძლიერ განვითარებულსაც შეჰხვდებით, როგორი მეხსიერებაცა ჰქონდა, მაგალითებრ, სენეკას, რომელიც ერთხელ წაკითხულიდგან ერთბაშად 2,000 სიტყვას ზეპირად განიმეორებდა. დასასრულ ქ-ნმა მანასეინმა მწუხარებით აღნიშნა ის გარემოება, რომ ჩვენს სამკურნალო სასწავლებლებში ფსიხოლოგიას არ ასწავლიან, ჰკვაშა მყოფელის ადამიანის ხულის ვითარებასაო, მაშინ როდესაც დიდძალს ლექციებსა კითხულობენ ჰკვათა არა მყოფელთა შესახებაო.

## ახალი აკადემიკოსი

—

საფრანგეთის „უკვდავთა აკადემიაში“ 3 თებერვალს ამოირჩიეს ბრიუნეტიერი, ცნობილის ნიჭიერი ჟურნალისტის ჯან ლემუარის მოადგილედ; ყოველი ახლად ამორჩეული ვალდებულია ქების შესხმა სთქვას იმის წინად ყოფილ „უკვდავის“ შესახებ და, რასაკვირველია, ბრიუნეტიერი თავისდა უნებურად უნდა შეჰხებოდა საფრანგეთის ჟურნალისტების წარსულსა და აწმყოს. ამ სიტყვის წარმოთქმამდე ხალხში გაისმა ხმა, რომ ბრიუნეტიერს აზრად აქვს აწინდელი გაზეთობა გაჰკიცხოს და სასტიკად გაჰკილოსო, და ეს ხმა გამართლდა კიდეც.

3 თებერვალს ბრიუნეტიერი, ვითარცა გამოცდილი ორატორი, ჩვეული კამათსა, პირდაპირ არ შეუდგა თავისს საქმეს. ჯერ მსმენელთა ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ ძნელი და საფრთხილო საგანი ამოვირჩიე, ეს იაფად არ ჩამივლის დარწმუნებული ვარო, და შემდეგ გაუსვა გაზეთებს ხელი. ბევრი უსიამოვნო გააგონა ჟურნალისტებს. აწინდელმა გაზეთმა სრულიად გადაუხვია მეოც-და ათე და მეორმოცე წლების გზას, საპოლიტიკო დასებს დაუწყო სამსახური, უარ-ჰყო საზოგადო დედა-აზრნი და იდეალები, ჩაიფლა ჟამთა სიავის ჭაობში, ეხლა ერთის წვეთის ოდენადაც ხელს ვერ უმართავს ჩვენის საუკუნის დიდებულთა მოაზრეთა იდეის გავრცელებას და ამ პოლიტიკაში ძლიერს გაზეთს ისიცა-კი ვერ მოუხერხებია, რომ ბრბოს ხალხისას ყავახანა-შანტანები უარაყოფინოს და თეატრი ამას არ ანაცვალებინოს.

ჟურნალისტები სრულიად მოუმზადებელნი არიან იმ საქმისათვის, რომლისთვისაც ხელი მოუკიდნიათ, თამამად ჰკიდებენ ხელს ყოველისავე სჯას ამ ქვეყნად და თავისს უვიცობას ნქუხარე, ლამაზ-ლამაზის სიტყვებით ჰფარავენ. მიჰხედონ აბა ლიტრეს, რომელიც სამს წელიწადს სწავლობდა არმან კარრელთან მარტო უცხო სახელმწიფოთაგან მოსულ ამბების შედგენას, ან ჯონ ლემუანს, რომელიც ყოველს საგანს, რომლის შესახებაც წერას განიზრახავდა გაზეთში, წვლილად და საფუძვლით შეისწავლიდა ხოლმე. ამას გარდა, გადაამლაშეს ახალ ამბების უკან დევნას, აღარც უნარს წერისას, აღარც საგაზეთო ნიჭს ყურადღებას არ აქცევენ. ამაში ბრალი მიუძღვის საზოგადოებასაც, რომელიც სკანდალს და სხვა ამ გვარ წვრილმან ამბებს უფრო ეტანება, ვიდრე საზოგადო აზრს, მნიშვნელობას ამა თუ იმ მომხდარ ამბისას.

ყოველივე ეს ნათლად ამტკიცებს, რომ ცუდი მერმისი მოელის ჩვენს მწერლობას. წიგნი და ჟურნალ-გაზეთი რომ შეუდაროთ ერთმანეთს, იძულებულნი იქმნებით მისი ყოველ გვარი სალიტერატურო მნიშვნელობა უარ-ჰყოთ. „ამბები, ამბებიო“, აი რასა ვთხოვთ გაზეთს. თუ ასეა, მაშ გაზეთის შედგენა დეპეშისა და ტელეფონის მოხელეებს უნდა მივანდოთ, ჟურნალისტმა-კი თავისი ნიჭი უნდა დაჰფაროს, რომ ამ ნიჭით გაზეთს არა ავნოს-რა. როგორც ჰხედავთ, დასტამბული სიტყვა ყოველს ნაბიჯზედ ჰშორდება იმ საგანს, რომელიც წმიდათა-წმიდაა ყოველი ჭეშმარიტის მწერლისათვის. თუ ასეა, მაშ გაზეთს, რომელიც მარტო ოდენ ცხოვრების დღიურის ვარამით არის გარემოცული რად ეძახით ლიტერატურას, იმ ლიტერატურას, რომელიც გამორკვეულს საგანსა და აზრს უნდა ემსახურებოდეს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ინგლისელი—ქალი ლიუსი გარნეტი მეტად საყურადღებო ცნობებს იუწყება ოსმალეთის ქალთა ამ უკანასკნელ დროის მდგომარეობის შესახებ. საინტერესო უფრო ის არის, ვითომ ოსმალეთის დედაკაცი სრულიად ქმრისაგან არის დამოკიდებული და ქმრის მონაა. თურმე ოსმალეთის დედაკაცი უკეთ არის დაფარული და დაცული კანონის მიერ, ვიდრე ევროპიელი დედაკაცი. კანონით მისი მზითევი ხელ-შეუხებელია და, ამას გარდა, ქმარი ვალდებულია სიკვდილამდე შეინახოს იგი. განქორწინება ფიქრადაც ვერ გაუვლია, ჯერ ერთი, ყორანი შეაჩვენებს დაჰქოლავს იმას, ვინც ცოლს გაშორდება; მეორე, თუ ვინიცობაა განქორწინება მოხდა ქმარი ვალდებულია განსაკუთრებული თანხა გადაუხადოს, საცხოვრებელი ფული მისცეს, რომლის რაოდენობაც ქორწილამდე უნდა იყოს გამორკვეული. ეს ვალდებულება უეჭველად უნდა აღსრულდეს და თუ ამას ისიც დავუმატოთ, რომ მზითევიც უნდა დაუბრუნდეს, აშკარაა ყველა ოსმალელი ზეგრძელ დაფიქრდება, ვიდრე ცოლთან გაყრას გარდასწყვეტდეს. აი კიდეც ამიტომ ოსმალელი უფრო მონის შერთვას ეტანება, ვიდრე თავისუფალის ქალისას, თუმცა მონასაც ხელს აფარებს კანონი და უბრალოდ არავის აჩაგვრინებს.

რაც შეეხება აღზრდა-განათლებას, აი რას გვაუწყებს გარნეტი: ამ ოცდა-ათის წლის წინად ოსმალის კარგის ოჯახის ქალს მხოლოდ დედა-ენის წერა-კითხვას ასწავლიდნენ და ყორანის ზოგიერთს ადგილს აზეპირებდნენ. ამას გარდა, იცოდა ჩონგურ-ჭიანურის დაკვრაც. როდესაც ამ მხრივ მოემზადებოდა ქალი, მშობლები წვეულებას გამართავდნენ ხოლმე, რომლის დროსაც ყმაწვილს ქალს ყოველივე თავისი შნო და უნარი უნდა გამოეჩინა უცხოთ წინაშე, ეხლა ეს აღმოსავლეთის წესი აღარ არსებობს და ყმაწვილს ქალებს ისეთსავე განათლებას აძლევენ, როგორც ევროპიელს ქალებს. სწავლობენ როიალზედ დაკვრას, უცხო ენებს, ხატვას და სხ.

აქამდე კაცობრიობა თავისის აზრის გადასაცემად შავს მელანსა და თეთრს ქაღალდსა ჰხმარობდა. ეხლა ერთი ინგლისელი აცხადებს, რომ დროა უარვყოთ ეს ძველის-ძველი წესი და ჩვეულებაო. იმისის აზრით, მარტო სიტყვა საკმარისი გამომთქმელი არ არის ადამიანის გრძნობისა და აზრის ყოველის წვრილმანისა. კარგი იქმნება, რომ ამიერიდგან ვიხმარებდეთ ხოლმე ფერადს მელანსა და ქაღალდს, ხოლო სხვა-და-სხვა ფერის შეხამების დროს-კი ასე უნდა ვიხელმძღვანელოთო: მელანი გრძნობის გამომეტყველი უნდა იყოს, ქაღალდი სულისა. ყვითელი ფერი სიხარულს უნდა აღნიშნავდეს, უომრალი მწუხარებას, ლურჯი გონიერებას, ვარდის ფერი სიყვარულს, წითელი რისხვას, ბროწეულის ფერი დაცინვას. ეს ფერადობა, როგორც ქაღალდისა, ისე მელნისა შეძლებას მოგვცემს, ჩვენი გრძნობა და აზრი უფრო სავსებით, უფრო უნაკლულოდ გადავსცეთ მკითხველთაო.

## გასართობი

—

ერთი კაცი ფრინველებით ვაჭრობდა და თუთიყუშს დაასწავლა ეს სიტყვები: „მაგას ეჭვიც არა აქვსო“ გაიყვანა ეს თუთიყუში ბაზარში გასაყიდად დიდის ქებითა და დიდებით, ამბობდა, ადამიანის ლაპარაკი ესმისო, და ას მანეთ ნაკლებ არა ჰყიდდა. ერთი ვაჭარი მივიდა თუთიყუშთან და ჰკითხა:

— ღირხარ-კი ას მანეთად?

— მაგას ეჭვიც არა აქვსო. უპასუხა თუთიყუშმა.

ვაჭარს ძლიერ მოეწონა ფრინველი და მაშინვე მისცა პატრონს ასი მანეთი. როცა შინ მოიყვანა, ცოტახნის შემდეგ დარწმუნდა, რომ ამ რამდენისამე სიტყვის მეტი თუთიყუშმა სხვა არა იცოდა-რა და გაჯავრებით წამოიძახა:

— ოჰ, რა სულელი ვიყავ, რომ ეს უხეირო ფრინველი ვიყიდეო!

— მაგას ეჭვიც არა აქვსო, მიუგო სწრაფად თუთიყუშმა.

**

პედრილლო ეკამათებოდა ერთხელ ერთს თავ-ცარიელა კარის-კაცს. ამ კარის-კაცმა, მოთმინებიდამ გამოსულმა, შესძახა:

— გაჩუმდი, პედრილლო, თორემ ღმერთს გეფიცები, ჯიბეში ჩაგისვამო.

---

— რას იზამ, ჩემო ქეთო. ექიმი ვარ და ამიტომ ჩემს თავს არ ვეკუთვნი; ყურადღება არ უნდა მიაქციო ხოლმე ჩემს დაგვიანებას.

— ვიცი, მოვალეობა დიდს გაწევს, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ცოლ-შვილი გყავს და შენი თავი იმათთვისაც საჭიროა...

ამ სიტყვებზე სხვა ფერს გადაჰკრა ყმაწვილს კაცს და აკანკალებულის ხმით ჰკითხა:

— რა ამბავია?! მიშას ხომ არა უჭირს-რა?

— არა, მაგრამ...

— უჰ!... მადლობა ღმერთს!... სთქვა ყმაწვილმა კაცმა.—ძლივს თავისუფლად არ ამოვისუნთქე!?. მე-კი სულ სხვა რამ მეგონა. ეხლა-კი დაამთავრე, რა გინდოდა გეთქვა შენის „მაგრამით“—ყმაწვილი კაცი მაგიდას მოუჯდა და ჩაით სავსე ჭიქა თავისაკენ მიიწია.

— იმასა, რომ შენს თავს მეტად ძალას ატან. მართალია ჯან-მრთელი ხარ, მაგრამ, შეიძლება, მომეტებულმა ჯაფამ გაგტეხოს და მაშინ იმავე ხალხს დააკლდები, რომელსაც ამჟამად ემსახურები.

— ნუ გეფიქრება, ჩემო ძვირფასო! მომეტებული შრომა ვერას დამაკლებს, არამედ უფრო გამამხნევებს. მეორეც ისა, რომ ვიდრე ძალა მაქვს, ახალგაზდა ვარ, ღონე შემწევს, და ვიდრე შემიძლიან საქმის კეთება, უნდა განუწყვეტლივ ვემსახურო იმ ხალხს, რომელმაც აღმზარდა და რომელსაც ვეკუთვნი, თორემ, როცა მოვხუცდები და წელში გავიხრები, მაშინ თითონ მე გავხდები სხვისი ტვირთი.

— ჰო, და მეც მაგას არ გეუბნები? მეშინიან, რომ წრეს გადასულმა ჯაფამ უდროოდ არ დაგაუძლუროს.

— არა, შრომა და ისიც ზომიერი კაცს ვერას დააკლებს, პირ-იქით, სისაღეა. მე რომ უძლურებას ვამბობ, ის უძლურება მოხუცებას მოსდევს. მაინცა და მაინც ჩემი მეცადინეობა, როგორც ზევით ვთქვი, ზომიერია ბ ასეთს ნება-ნებად ცხოვრებას არ ძალუძს შეარყიოს ჩემი ჯანი მით უფრო, ჩემო საყვარელო, რომ ჩემი ხელობა მეტად მიყვარს. როცა მკურნალობაში ვარ, ისე ჩამნთქავს ხოლმე საქმე, რომ მინდა მთელი დღე და ღამე ავადმყოფთან გავატარო. იმაზე უძნელესი არა არის-რა, როდესაც კაცს გული ერჩის მოქმედებისათვის და დაავადებული, დასნეულებული ხორცი-კი ამის ნებას არ აძლევს. ან იმაზე კარგი რა იქნება, როცა ულმობელს სიკვდილის ცელს ასობით მსხვერპლს სტაცებ ხელიდან.

ამ ლაპარაკში ირაკლის სახე გაუბრწყინდა და სიამოვნების ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზედ.

— დღეს,—განაგრძო მან ლაპარაკი—ქუჩა-ქუჩა რომ დავდიოდი—ერთი ყმაწვილი ქალი გადამეღობა წინ, დამიწყო მუდარება—წავყოლოდი შინ ავადმყოფ ბალღის სანახავად. რასაკვირველია, ავასრულე შეწუხებულის დედის თხოვნა და გავყევი. შევედით ერთს ქოხში, რომელშიაც საშინელი სუნი იდგა სინესტისა. კედელთან შეკრულს ტახტზე—გაშლილი იყო დაძონძილ დაკონკილი ლოგინი, რომელზედაც იწვა ავადმყოფი ბალღი, ესე სამი წლისა, გაყვითლებული, თვალებ-ჩავარდნილი. დავხედე და ჩვენი მიშა მომაგონდა. კინაღამ ცრემლები გადმომცვივდა. გავსინჯე, გული შევუმოწმე, მაგრამ შენი მტერი, ის იყო. საწყალს ციებ-ცხელება გასჯდომია ჯანში და ეხლა წყალმანკად გადაჰქცევია. მორჩენის იმედი თითქოს არ არის. საჭირო წამლები მივეცი, ფულიც დაუტოვე დედას, რომ წვნიანი რამ გაუკეთოს, თორემ მშრალი ლუკმა სულ ბოლოს მოუღებს. ქეთო, შენი ჭირიმე, ხვალ წადი, შენ თითონ დაჰხედე იმ საცოდავ დედაკაცს. საჭმელებიც წაუღე ავადმყოფს. მე თითონ მიგაცილებ იმ სახლამდე...

ამ ლაპარაკში ირაკლი თან ჩაის სვამდა. მისი სახე სხვა-და-სხვა გვარად მეტყველებდა, იმის დაკვალად, თუ რას ამბობდა—სასიამოვნოს თუ უსიამოვნოს.

ქეთო მეუღლე ირაკლისა, თუმცა პირველში ეწინააღმდეგებოდა ქმრის აზრებს, მაგრამ ირაკლის ლაპარაკმა გაიტაცა ისიცა. დღევანდელს მის ლაპარაკს ტკბილის ღიმილით უგდებდა ყურს. ამასთანავე ყოველი მისი სიტყვა ძვალსა და რბილში უვლიდა, მაგრამ, როდესაც ირაკლიმ დაავალა ზემოხსენებულის ბალღის ნახვა—ქეთოს სახეს გაოცება დაეტყო.

— იმ დედაკაცთან რომ მგზავნი, მერე მიშა ვის-ღა დავუტოვო? არც შენ იქნება შინ.

— ეგ მართალია, მაგრამ, იმედია მიშა ხვალამდე უკეთ შეიქმნება. ნახევარ საათით ქალაქში გასვლა შეგეძლება. შენი წასვლა საჭიროა. საბრალო დედაკაცი თავს იკლავს ჯავრით. ქალი მაინც სულ სხვაა ამ გვარ მწუხარებაში. დაუყვავებ, ნუგეშსა სცემ, ესალბუნები.

ამ ლაპარაკში ცოლ-ქმარმა ჩაის სმა გაათავეს.

— წავალ და მიშას დავხედავ,—სთქვა ირაკლიმ და წამოდგა.

— არ-კი გააღვიძო—უთხრა ქეთომ—მაგრამ მეც წამოვალ. ირაკლი და ქეთო ბავშვის საწოლ ოთახში შევიდნენ.

(შემდეგი იქნება)

— უკეთესი იქნება, თავში ჩამისვა, რადგან შენს თავში ძალიან ბევრი ცარიელი ადგილია და ფართოდ ვიქნებით, დამშვიდებით უპასუხა პედრილლომ.

# დეპეშა

19 თებერვალი

**ბერლინი.** გუშინ იმპერატორმა ინახულა გრაფი კაპრივი და მადლობა გადაუხადა რუსეთის სავაჭრო ხელ-შეკრულობის მშვენივრად დაცვისათვის; ამის გამო იმპერატორმა უძღვნა კანცლერს თავისი ბიუსტი.

იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელმაც უნდა განიხილოს რუსეთის სავაჭრო ხელ-შეკრულობა ინიშნება მისი თანამგრძნობელი ნაციონალ-ლიბერალი ჰამმახერი; საზოგადო კრებაზედ ხელ-შეკრულობის მომხრეთა უმრავლესობა 40-მდეა.

**ლონდონი.** გლადსტონმა ურჩია დედოფალს მთავარ-მინისტრად დაინიშნე ლორდი როზბერიო, რომელსაც ებრძანა კიდეც ვინგოს მისვლა.

**ბერლინი.** მთელს ქალაქში ხმა არის გავრცელებული, რომ შესაძლოა მიკელი სამსახურიდამ გადადგეს. რუს-გერმანელთა ხელ-შეკრულობის საქმე თითქმის გათავებულია. ხელ-შეკრულობის დამტკიცების ვარაუდს ის უფრო აძლიერებს, რომ მისი მხარე დაიჭირეს ყველა ნაციონალ-ლიბერალებმა და აგრედვე ზოგიერთმა აგრარიებმაც, მეტადრე იმათ, რომელნიც სამეფო კარს არიან დაახლოვებულნი. უმეტესობა უკვე 48-მდეაო. კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს იგი ხელ-შეკრულობა, არიან: 5 კონსერვატორი; 3 წევრი იმპერიის დასისა, 4 ნაციონალ-ლიბერალი, 8 წევრი შუა-გულ დასისა, 3 თავისუფალი მოაზრე, 1 პოლშელი, 1 ანტისემიტი და 3 სოციალ-დემოკრატი; ამათში 14 მომხრეა ხელ-შეკრულობის, 11 წინააღმდეგია და 3—ტოკვასა და ჰოჰმონში არიან.

20 თებერვალი

**პეტერბურგი.** განზრახვა აქვთ, რომ სახელმწიფო საბჭოში განსახილველად წარდგენილ იქმნას სტამბოლში საარხეოლოგიო ინსტიტუტის დაარსების საქმე.

**ლონდონი.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ გლადსტონის გადადგომა სამსახურიდამ შეიწყნარა დედოფალმა და რომ მთავარ-მინისტრად ინიშნება ლორდ როზბერიო.

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებთ თქვენის გაზეთის საშუალებით იმათ, ვინც ფულით შემწეობა აღმოუჩინეს „ქართულ საღამოს“, რომელიც გამართული იყო ჩვენგან პეტერბურგში წარსულ წლის 19 დეკემბერს, აქაურ ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტები
10 თებერვალი 1894 წ.
პეტერბურგი

პეტერბურგის ბირჟა, 18 თებერ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,52 | 7,54 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | 150 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5°/o პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243 1/2 |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 226 1/2 |
| 4°/o მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/o . . . . . | — ,, | — ,, | 101 |
| 5°/o . . . . . . | — ,, | — ,, | 98 1/4 |
| ქუთაისის ბანკის 6°/o. | — ,, | — ,, | 100 3/8 |
| 5°/o. . . . . . | — ,, | — ,, | 98 1/? |
| 5°/o ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98 1/4 |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**შვედურს მაღაზიაში**; მიხაილოვის ქუჩაზედ, № 99 მივიღეთ ახალი „**თესლეულობა**“ ბოსტნეულობისა, ყვავილებისა და ბალახეულობისა, აგრედვე ახალი შვედური ორთქლით მოხარშული შვრიის „**ფქვილი და კრუპა**“ დიდად მარგებელი საზოგადოდ და განსაკუთრებით ავადმყოფ და გამხდარ ბავშვებისათვის. აქვე მივიღეთ ახალი კუხნა „**პრიმუს**“ რომელიც უპატრუქოთ აინთება ნავთით. პრეისკურანტები გაეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. (10—4)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლღოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—167)

**50 руб.** и больше **награды** получитъ тотъ, кто немедленно дастъ самыя точныя свѣдѣнія о послѣднемъ мѣстопребываніи Рудольфа Петровича Кауца, или доказательство его смерти. Рудольфъ Кауцъ до 1867 г. проживалъ въ Царствѣ Польскомъ, а около 1879 г. былъ на Кавказѣ.

Письма адресовать: Фабрика В. Кауца. Варшава, Эриванская, № 5.










სამეურნეო გაზეთი
„მეურნე“
გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთის პროგრამმა:

I მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ.
II სამეურნეო ეკონომია.
III წერილები ხვნა-თესვაზედ, ბაღოსნობაზე, მებოსტნობაზე, მევენახობაზე, საქონლის მოვლა-მოშენებაზე და საზოგადოდ ყოველგვარ სამეურნეო საქმეზე.
IV სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთ-მოძღვრება და მეხანიკა.
V ვეტერინარობა (ბეითალობა) და სოფლის ჰიგიენა.
VI მეურნეობის ამბები და კორესპონდენციები.
VII განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში.
VIII სამეურნეო ბიბლიოგრაფია.
IX სოფლის ნაწარმოების ბაზრები.
X ცნობები თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვ.
XI მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა.
XII ნარკვევი,
XIII კითხვა-პასუხი.
XIV სურათები.
XV გამოსადეგი ადრესები.
XVI განცხადებანი.
XVII დამატებანი, რომელშიაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ტფილისში წლით 4 მანეთი | ტფილისს გარეთ: წლით 5 მ. |
| ნახევარის წლით 2 მ. 50 კ. | ნახევარის წლით 3 მ. |

ამ ნომრიდან გაზეთში მოღვაწეობენ ახალნი თანამშრომელნი, რომელთა მეოხებით რედაქციას სრული იმედი აქვს, რომ იგი პირნათლად აასრულებს თავისს მოვალეობას.

ვისაც „მეურნის“ გამოწერა სურს, უნდა მიმართოს: ტფილისში „მეურნის“ რედაქციაში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას“; ქუთაისში, რედაქციისა და კანტორის განყოფილებას, ჭყონიას სახლში და წიგნის მაღაზიებს: ძმ. ჭილაძესა, ძმ. წერეთელთა და კ. ბეჟანეიშვილისას; დ. ყვირილაში თ. ხუსკივაძეს; ჯიხაიშს დავით ლევანის ძეს ღოღობერიძეს, ოზურგეთს და ახალსენაკში კ. თავართქილაძის სტამბებს და ბათომში პავლე შ. ჭყონიას, დამოყნის მოხელეთა სადგომში.

გაზეთში დასაბეჭდად განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე. თითოჯერ სტრიქონის დაბეჭდვა ეღირება პირველ გვერდზე აბაზი და უკანასკნელზედ—ორი შაური.

„მეურნეში“ დასაბეჭდად დანიშნული წერილები უნდა გამოიგზავნოს რედაქციისა ანუ მის ქუთათურ განყოფილების სახელობაზე. წერილები, საჭიროების-დაგვარად, იქნებიან შესწორებულნი ანუ შემოკლებულნი და თუ რომელიმე წერილი რაიმე მიზეზით არ დაიბეჭდება, იმაზე მიწერ-მოწერას რედაქცია არა კისრულობს.

რედაქცია იმყოფება ტფილისში: კუკია, რუსთავის ქუჩა, სახლი № 10. რედაქციისა და კანტორის განყოფილება ქუთაისში, ჭყონიას სახლში. (5—2)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ვალ. გუნიას მიერ
შედგენილნი და გამოცემულნი

**საქართველოს კალენდარი 1894 წ.**

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1894 წლისათვის**

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.**

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკით დასტამბული უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის**

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტულუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.


Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Февраля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე